კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3

“გოგებაშვილის პედაგოგიკა - თანამედროვე გამოწვევები”.

2016 წელს შესრულდა იაკობ გოგებაშვილის “დედა ენის” პირველი ბეჭდური გამოცემიდან (1876 წ.) 140 წელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი მიმდინარე წლის 10 დეკემბერს გეგმავს ახალგაზრდული კონფერენციის “გოგებაშვილის პედაგოგიკა - თანამედროვე გამოწვევები” ჩატარებას.

კონფერენცია 10 საათზე, ილია აბულაძის სახელობის საგამოფენო დარბაზში გაიხსნება.

კონფერენციის განხორციელების მიზანია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, როგორც მკვლევართათვის უმნიშვნელოვანესი საცავის პოპულარიზაციას, გოგებაშვილის პედაგოგიური ნააზრევის წარმოჩენას, განათლების საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის იმის ჩვენებას, რომ დღევანდელობის პრობლემათა გასაღები ხშირად ისტორიაშია საძიებელი.

მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციამ რეგიონებიც მოიცვა. მაგალითად ორი მონაწილეა სიღანღიდან და თელავიდან.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება სრულიად განსხვავებული კუთხით დანახული იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობა და მისი ნაშრომები. მაგალითისათვის წარმოდგენილი იქნება თემა: იაკობ გოგოებაშვილის „დედა ენის“ პირველი გამოცემისა და თანამედროვე „დედა ენის“ შედარებითი ანალიზი.

გარდა ამისა გაიხსნება გამოფენა,რომელზეც წარმოდგენილი იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული იაკობ გოგებაშვილის პირადი არქივი. მისი ჩანაწერები, წერილები სხვადასხვა ნაშრომები და ა.შ.

ასევე სტუმრებს საშუალება ექნებათ იხილონ ანიმაციური პროგრამა დედა ენის შესახებ, რაც გულისხმობს თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით შექმნილ ანიმაციურ სიუჟეტს დედა ენისა და მისი ავტორის შესახებ. რაც საშუალებას გვაძლევს ახლებურად დავინახოთ გოგებაშვილის მოღვაწეობა. ასეთი სახის ანიმაციების შექმნა განსაკურებით მნიშნველოვანია ახალგაზრდებისათვის, რომელთათვისაც თანამედროვე ტექნოლოგიები მათ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge
599 899 628

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge
599 899 628